

საქართველო

რეპუბლიკა



შანი 2 შან.

პარასკევი, 16 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უფლებდღიური განცხადება
(ოფიციალური და არა-ოფიციალური განცხადებებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გ.ზ. „საქ რეპ.“ 1920 წლისთვის. განცხადებით
ლორს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. მე-8
ცხადების ფასი პირველ გვერდზე პირველი სტრიქონი 3 მ. 50 კ. გან-
გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 80 მ.
1 იანვრ. გ.ზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისა-
მართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

დამწუხრებელი მშობლები და მეგობარ ანხანაგენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ,
რომ შიშით, იანვრის 17 ს. ქ. ზუგდიდში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა
და პანაშვიდი მათთვის ძვირფას ტრაგიკულად გარდაცვალულ
აკაკი ქავთარაძის
სულის რესპიციბლად.

სახელმწიფო თეატრი აბრეა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
პარასკევი, იანვრის 16-ს
ქეთო და კოტე
შაბათს, იანვრის 17 ოპერა მუშებისათვის „თქმულმა შოთა რუსთაველზე“, კვირას, იანვრის 18, თარხან-მოყრავის ბენეფისი „ტრაგიატა“.

დრამატიული საზოგადოების
სარეპუბლიკო კომისია
აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19. იანვარს, დილის 11 საათზე
ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნებია:
1. მიღება ახალ წევრებისა, 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. არჩევნები ახალ გამგეო-
ვისა, 4) მიმდინარე საქმეები. კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიხედვით.
24

გაზრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციული კურსები მ. გ. ფილქიანისა
ორთავე სკებისათვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება
დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ახალი განყოფილება. 49 5—4

საქართველოს კომერციულ ბანკის
საორგანიზაციო კომიტეტი
აუწყებს ბანკის აქციონერთ, რომ ამ წლის 15 თებერვალს, ქ. ტფილისში, ცენტრალურ კო-
ოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერატივის ქუჩა № 15) დილის 10 საათზე დანიშნუ-
ლია საქართველოს კომერციულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება. დღის
წესრიგი: 1. მოხსენება სარევიზიო კომიტეტისა. 2. საქციონერთა თანხის გადაღება. 3.
წესდების 49 მუხლის შეცვლა. 4. ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5. გამ-
გეობის და საბჭოს არჩევნები. 6. მიმდინარე საქმეები. წესდების 49—50 მუ. ძალით ყო-
ველ კომერციულ დაწესებულებას, რომელსაც ექვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს
საზოგადო კრებას გადაწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთა შეუძლიან ხმის უფ-
ლება გენდარცხ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რაზმუ-
ნება ექონიოს. რჩევნება ხმის უფლებას გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომ-
ელიც უნდა წარმოადგინდ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე. 21 3—2

ტფილისის ვაჭართა ბანკის გაგზობა
ამით აუწყებს ბანკის აქციონერებს, რომ პირველი საგანგებო საზოგადო კრება, დანიშნული
იანვრის 11-ს არ შესდგება, ვინაიდან დასწრე აქციონერების არ წარმოადგინეს წესდ. მე 64
წ. ში აღნიშნული აქციონერების რაოდენობა. მის მაგიერ კვირას 1 თებერვალს, დილის 11 ს.
ბანკის ბინაზე (თავისუფლების მოედანი № 3) დანიშნულია ხელმოკრე საგანგებო საზოგადო
კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვალება და მისი გადაწყვეტილება საბოლოო, მიუხედავ-
და წარმოდგენილ აქციონერებს რაოდენობისა, განსახილველი საგნებია: 1. ბანკის კაპიტალის
გაღება აქციონერების ახალი გამოცემის საშუალებით. ბანკის აქციონერები, რომლებიც ხმის უფ-
ლებას აძლევენ საზოგადო კრებაზე, ან მათი მაგიერი იმ შემთხვევაში, მიღებული სახელმწიფო
და საკრედიტო დაწესებულებებთან, აქციონერების № 1-ის დასწრეობითი ჩვენებით უნდა წარ-
მოდგინდ იქნეს ბანკის გამგეობაში ტფილისში არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე.
დროებითი მოწოდების წარმოდგენა მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემის აქციონერებისა, რომ-
გორც სახელმწიფოს, არ არის საჭირო, რადგან მათი პატრონების სახელები შეტანილია
აქციონერთა სიაში გამგეობის წიგნებში ჩაწერილის მიხედვით, ამასთანავე გამგეობის წიგ-
ნებში შეტანა მათი პატრონებისა და დროებითი მოწოდების, ან უკანასკნელთა გადაცემა
ერთი პირიდან მეორეზე უნდა მოხდეს არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე, წინაა-
ღმდეგ შემთხვევაში დროებითი მოწოდების პატრონები, ბანკის წესდების მე 57 წ. ის თა-
ხანად, ვერ ისარგებლებენ ხმის უფლებით საზოგადო კრებაზე ვერც პირადად, ვერ მინდო-
ბელობით. ვერც ბანკის გამგეობაში ყოველ დღე, გარდა უკმეებისა, 10 საათიდან. მათი მიღების
ვადა, და აგრეთვე გამგეობის წიგნებში დროებითი მოწოდების ახალ პატრონთა სახელების
შეტანისა, თავდება შაბათს, იანვრის 24-ს, დღის 1 საათზე. 52 1—1

საფინანსო განყოფილება
დეკრეტი
გზატყეცილების შესახებ 16, 138, 430 მან. გადადებისა.
1. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინი-
დან გზათა მინისტრის განკარგულებაში თექ-
ვსმეტი მილიონი ას ოცდა თვრამეტი ათას
ოთხას ოცდაათი (16, 138, 430) მანეთი გზა
ტყეცილების საქართველოსათვის 1919—1920
წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში, ამ დეკ-
რეტთან დართულ ნუსხის თანახმად.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ თანხიდან
გადადებულ იქნეს სამუშაოს ავანსად ორი მი-
ლიონი (2,000,000) მანეთი.
3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამუშავებული კრების მიერ.
1919 წ. დეკემბრის 30-ს.
საქართველოს დამუშავებული კრების
თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
გზა-გამგზავნი.

ნუსხა.
გზატყეცილების სამმართველოს 1919—1920 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

მ.ს.ს.	მ.ს.ს.	ხ ა რ ჯ ი ს დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა .	ნავარაუდევია 1919/1920 წლი-სათვის.
2	1	შტატის და შტატ გარეშე მოსამსახურეთა შენახვა	1464969 12
	2	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	81800
	3	მოსამსახურეთა სანიტარული დახმარება და სანიტარულ მეთვალ ყურძეთა შენახვა	80200
	4	სავაზო ხარჯი	400000
		მე-3-ე წ. ის ჯამი	2026969 12
4		მეტროლოგიურ და წყლის საზომ სადგურების შენახვა	17335
		მე 2-ე წ. ის ჯამი	17335
5		გზატყეცილების და სამეურნეო გზების შეკეთება და შენახვა	
	1	საფუძვლიანი შეკეთება	3000000
	2	ჩვეულებრივი შეკეთება	9033628 67
		მე 5-ე წ. ის ჯამი	12033628 67
6		უძრავ ქონების ჩიზორთმევის ანაზღაურება	2000
		მე 6-ე წ. ის ჯამი	2000
7		პენსიები და ერთდროული დახმარება	75
		მე 7-ე წ. ის ჯამი	75
8		შენახვა სამეცნიერო სახელო ნივთებისა და მთავრობის გარეისა.	
	1	პირადი შემადგენლობა	861421 21
	2	მასალის ხარჯი	1095076
	3	სხვა და სხვა ხარჯი (ელექტრონით განათება, ტელეფონი, წყლის გადასახადი	41925
	4	მოულოდნელი ხარჯი	60000
		მე 8-ე წ. ის ჯამი	2058422 21
		სულ. (§§ 3—8)	16138430

1919 წ. დეკემბრის 30-ს.
საქართველოს დამუშავებული კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
გზა-გამგზავნი.

საა რფიციალური განყოფილება
მთავრობაში
3 იანვრის სხდომა.
დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნოე ჟორდანიას; მინისტრები—ბ. ნინი რამიშვილი, გეგეჭკორი, ხომერკი, კანდელაკი, არსენიძე, ლორთქიფანიძე, ერადე; მინისტრთა ამხანაგები—ბ. ნინი ავალიანი, კეკელიძე, ქარცივაძე, გედევანიშვილი; სახელმწიფო კონტროლის ამხანაგი—ბ. ნინი ანდრონიკაშვილი; რუსტიციის დეპარტ. დირექტ. თანამდ. აღმ. გ. ჟორდანიას; გზათა დეპარტამენტის დირექტორი—კეკელიძე; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდგენი—დ. დედეშვილი.
დახმარება ილია წინამძღვრისთვის.
ილია წინამძღვრისთვის დახმარების აღმოჩენის საკითხი გადაეცეს დასკვნისათვის განათლების სამინისტროს.
მთავრობის სახლის ხარკმონტო მუშაობის გაგრძელება.
დაევალოს მთავრობის საქმეთა მმართველს შეიმუშაოს და წარუდგინოს მთავრობას შე-საფერი ხარკთა-ღრიცხვა მთავრობის სახლის სარემონტო მუშაობის გაგრძელებისა.
სავაჭრო აგენტურის მოწყობა უცხოეთში.
თანამშრომლის სარეგულიაციო და პურის საქმის მოსაგვარებლად გაიგზავნოს საზღვარგარეთ მთავრობის წარმომადგენლად ბ. ნინი ქვიციაძე, დაევალოს ფინანსთა და ვაჭრობა-

მრეწველობის მინისტრს წარუდგინოს მთავრობას ახლო მომავალში სქემა და ხარჯთაღრიცხვა ევროპაში კომერციულ აგენტურის მოწყობისა.
დანიშნვა.
გაბრიელ ივანეს ძე თულაშვილი დანიშნოს ტფილისის დროებითი საგანგებო სასამართლოს წევრად.
სადისციპლინო წესდება.
წარმოდგენილი სადისციპლინო წესდების მე 2 და მე 3 მუხლის რედაქციის გადაამუშავება და მთავრობისათვის მოხსენება დაევალოს სახმედრო მინისტრს. წესდების მე-48 და მე-49 მუხლები (თავი V) ამოიშალოს. წესდების დანარჩენი მუხლები მიღებულ იქნას უცვლელად.

მთავრობის თავმჯდომარე
ნოე ჟორდანიას დაკავება უგაღ-ლას საბჭოს.
მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს:
„მთელი საქართველო და მისი მთავრობა ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის „de facto“ აღიარების ამბავს. მადლობას გწირავთ რა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ შემოქმედებითი ძალისხმევით ნდობის ამ უდიდეს აქტისთვის, იმ ხალხისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ევროპის კარებზე იდგა და განათ-

